ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9723174001
თარიღი:23/06/2023

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომა N-10

დ. ლენტეხი. 22 / ივნისი /2023წ.

მიმდინარე წლის 22 ივნისს დღის 12 საათზე გაიმართა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ გორგი გაზდელიანმა . მან აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება საკრებულოს 16 (თექვსმეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრება 5(ხუთი)წევრი.

სხდომას ესწრებოდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი, მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი და იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე - 2023 წლის ბიუჯეტში საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხის გადანაწილების შესახებ.**

   /მომხს. მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი/

2. **სხვადასხვა.**

დღის წესრიგთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ ყოფილა. ღია კენჭისყრით

მომხრე -16

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით.

1.მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა აღნიშნა რომ მომზადებულია განკარგულების პროექტი -2023 წლის ბიუჯეტში საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხის გადანაწილების შესახებ, კერძოდ:

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში კეთილმოწყობის სამუშაოების დაფინანსების მუხლიდან (პროგ.კოდი 02.04.01) 60 000 (სამოცი ათასი) ლარი გადატანილი იქნას მერიის საპროექტო-საამშენებლო სამუშაოების ტექ.დოკუმენტაციის შედგენის და მეწყერსაწინააღმდეგო კედლის მშენებლობის მუხლში (პროგ.კოდი 02.05).

აზრი გამოთქვა სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა - რომ ივნისის თვეში საკმაოდ პრობლემები შეგვექმნა სტიქიის გამო. არის საკითხები, რომლებიც აუცლებლად უნდა მოგვარდეს. მადლობა გადაუხადა მერს ამ ეტაპზე მიღებულ გადაწყვეტილებისთვის, რომ მერის კაბინეტის რემონტის ფული გადაიტანა საპროექტო-საამშენებლო სამუშაოების ტექ.დოკუმენტაციის შედგენის და მეწყერსაწინააღმდეგო კედლის მშენებლობის მუხლში.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა. ღია კენჭისყრით:

მომხრე - 16

წინააღმდეგი -0

1. **გადაწყვიტეს: მოწონებული იქნეს განკარგულების პროექტი - თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე - 2023 წლის ბიუჯეტში საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხის გადანაწილების შესახებ.**

2. **სხვადასხვა.**

მოისმინეს: იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი - თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე - უძრავი ქონების სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის უსასყიდლოდ უვადო სარგებლობაში გადაცემის შესახებ.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ღია კენჭისყრით: მომხრე -16

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი - თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე - უძრავი ქონების სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის უსასყიდლოდ უვადო სარგებლობაში გადაცემის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ დღის 13 საათზე საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დამთავრებულად გამოცხადდა.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი